შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №3751

2022 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

„ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56^3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქცია, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 29 დეკემბრის №41747 ბრძანება;

ბ) „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 5 აგვისტოს №25697 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

სამსახურის უფროსი **ლევან კაკავა**

დანართი

„ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქცია

მუხლი 1. დღგ-ის გადამხდელის სტატუსი

1. გადასახადის გადამხდელს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციიის მომენტიდან, ასევე წინამდებარე „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციით(შემდგომში - ინსტრუქცია) განსაზღვრული სხვა საფუძვლების არსებობისას ენიჭება კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის ან არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი.

2. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონეა პირი, რომელსაც „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56^3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული სტატუსის მოქმედების პერიოდში შეჩერებული აქვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება, აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემა, ასევე საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლება დღგ-ის ჩათვლის მიღების მიზნით და რომელსაც ამ ინსტრუქციის შესაბამისად მინიჭებული აქვს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი.

3. კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონეა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირისა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2025 წლის 20 მარტის ბრძანება №4989 - ვებგვერდი, 21.03.2025წ.

მუხლი 2. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება და გაუქმება

1. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების საფუძველია:

ა) გადასახადის გადამხდელის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია;

ბ) თუ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან წარადგინა და მის საფუძველზე დასარიცხი გადასახადის თანხა ერთ ლარს არ აღემატება, ამასთან უფლებამოსილი პირის მიერ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის უკანასკნელი მინიჭებიდან გასულია 6 კალენდარული თვე;

გ) თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, შემოსავლების სამსახურში არსებული ინფორმაციის მიხედვით, არ უფიქსირდება მოქმედი საბანკო ანგარიშის ნომერი, გარდა სახაზინო სამსახურში არსებული ხაზინის ერთიანი ანგარიშისა;

დ) შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება.

2. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - არაუგვიანეს შესაბამისი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით;

გ) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელთან შეტყობინების გაგზავნის დღიდან.

3. გადასახადის გადამხდელის მიმართვის შემთხვევაში, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე

გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ გადასახადის გადამხდელს შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში დაუფიქსირდება მოქმედი საბანკო ანგარიში და არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების სხვა საფუძველი არ არსებობს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №14558 - ვებგვერდი, 28.07.2023წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 2 მაისის ბრძანება №10911 - ვებგვერდი, 31.05.2024წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №23615 - ვებგვერდი, 21.03.2025წ.

მუხლი 3. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესზე გადაყვანა

1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესზე გადასახადის გადამხდელის გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) ნებაყოფლობით;

ბ) სავალდებულო წესით;

გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით.

1^1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესზე გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობით გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) სრულად;

ბ) ნაწილობრივ;

1^2. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის სრულად გადასვლისას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის სპეციალური წესი ვრცელდება მის მიერ გამოწერილ ყველა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე.

1^3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის ნაწილობრივ გადასვლისას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის სპეციალური წესი გავრცელდება მხოლოდ მის მიერ შერჩეულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე.

1^4. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის ნაწილობრივ გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადასახადის გადამხდელი სრულად გადასულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე.

2. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესზე გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობით გადაყვანა ხორციელდება მის მიერ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ვებგვერდიდან (https://eservices.rs.ge) წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის გადამხდელს, ამ ინსტრუქციის საფუძველზე მინიჭებული აქვს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი.

3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის სავალდებულო წესით გადაყვანა ხორციელდება, თუ გადასახადის გადამხდელის აღიარებული

საგადასახადო დავალიანება შეადგენს ან აღემატება 25 000 ლარს.

3^1. თუ გადასახადის გადამხდელი ნაწილობრივ სარგებლობს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალური წესით და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაუფიქსირდება დავალიანება, გადასახადის გადამხდელი სრულად გადავა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე.

4. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანა ხორციელდება ამ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი განცხადების წარმოდგენის მომენტიდან;

ბ) მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შესაბამისი აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფიქსირების მომენტიდან;

გ) (ამოღებულია - 25.03.2022, №7545);

დ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - გადასახადის გადამხდელთან შესაბამისი შეტყობინების გაგზავნისთანავე.

5. თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანილ პირს (შემდგომში - სპეციალური წესით მოსარგებლე პირს), ამ ინსტუქციის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, უნარჩუნდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით სარგებლობის უფლება, ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით განსაზღვრული დებულებების გათვალისწინებით.

6. არაკვალიფიციური გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანა არ ხორციელდება.

7. სეს ესნ-ის მე-10, მე-11 და მე-12 ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლის შეძენისას მიმღები (მყიდველი) უფლებამოსილია მიმწოდებელს (გამყიდველს) მოსთხოვოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელზეც ვრცელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის ბრძანება №7545 - ვებგვერდი, 28.03.2022წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №24146 - ვებგვერდი, 29.09.2022წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №30813 - ვებგვერდი, 21.12.2022წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №23615 - ვებგვერდი, 21.03.2025წ.

მუხლი 4. სპეციალური წესით მოსარგებლე პირის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის წესი

1. სპეციალური წესით მოსარგებლე პირის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემდეგ შესაბამისი დღგ-ის ოდენობით თანხა გადახდილია ბიუჯეტში:

ა) მიმწოდებლის (გამყიდველის) მიერ; ან/და

ბ) მიმღების (მყიდველის) მიერ - მიმწოდებლის (გამყიდველის) სახელით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის (გამყიდველის) მიერ, ბიუჯეტში გადახდილი თანხის ფარგლებში, მხოლოდ პროგრამულად შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გააქტიურების (მონიშვნის) შემდეგ;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - გადახდილი თანხის ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იდენტიფიცირების შემდეგ, რა დროსაც ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა აქტიურდება ავტომატურად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, მიმღების (მყიდველის) მიერ მიმწოდებლის (გამყიდველის) სახელით გადახდილი თანხის იდენტიფიცირებისათვის, მხედველობაში მიიღება მხოლოდ „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 11^1 მუხლით განსაზღვრულ საინფორმაციო ბარათში ასახული საბანკო ანგარიშიდან განხორციელებული თანხის გადახდა, ხოლო თუ მიმღების (მყიდველის) მიერ თანხის გადახდა განხორციელებულია სხვა საბანკო ანგარიშიდან, დღგ-ის ჩათვლის მიზნებისათვის გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულება.

4. თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით მოსარგებლე პირს, ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, პირის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით სარგებლობისას გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე ვრცელდება ამ მუხლით დადგენილი წესები.

5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტის შემთხვევაში, სპეციალური წესის მოქმედების პერიოდში გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე ვრცელდება მათი გამოყენების ზოგადი წესი.

6. თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გააქტიურებულია ავტომატურად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის (გამყიდველის) საგადასახადო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების ან/და მიმღებისთვის (მყიდველისთვის) დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გაუქმების (აღდგენის) შემთხვევაში, მიმღები (მყიდველი) უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურს მიმართოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული შესაბამისი დღგ-ის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის მიზნით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №30813 - ვებგვერდი, 21.12.2022წ.

მუხლი 5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტის საფუძვლები

1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტის საფუძველია ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სპეციალური წესით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ვებგვერდიდან (https://eservices.rs.ge) წარმოდგენილი განცხადება, რა დროსაც სპეციალური წესით სარგებლობა წყდება ავტომატურად;

ბ) მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აღიარებული საგადასახადო დავალიანება ნაკლებია ამავე პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობაზე, რა დროსაც სპეციალური წესით სარგებლობა წყდება ავტომატურად;

გ) (ამოღებულია - 25.03.2022, №7545);

2. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად არსებობს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანის რამდენიმე საფუძველი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტა განხორციელდება შესაბამისი საფუძვლ(ებ)ისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა შესაბამისი გარემოების დადგომის შემთხვევაში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის ბრძანება №7545 - ვებგვერდი, 28.03.2022წ.

მუხლი 6. შემოსავლების სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები

შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად:

ა) მიანიჭოს/არ მიანიჭოს/გაუუქმოს გადასახადის გადამხდელს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის/არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი;

ბ) გადაიყვანოს/არ გადაიყვანოს/შეუწყვიტოს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით სარგებლობის უფლება;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №30813 - ვებგვერდი, 21.12.2022წ.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. გადასახადის გადამხდელს, რომელსაც ამ ინსტრუქციის ამოქმედებამდე მინიჭებული აქვს არაკვალიფიციური გადასახადის გადამხდელის სტატუსი მხოლოდ საგადასახადო დავალიანების არსებობის საფუძველზე, ამ ინსტრუქციის ამოქმედებისთანავე, ავტომატურად, მიენიჭოს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და გადაყვანილ იქნას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე.

2. იმ პირებს, რომლებსაც 2022 წლის 28 მარტის მდგომარეობით არ უფიქსირდებათ აღიარებული საგადასახადო დავალინება 50 000 ლარის ან მეტი ოდენობით, შეუწყდეთ ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სპეციალური წესით სარგებლობის უფლება, გარდა ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით აღნიშნულ წესზე გადაყვანილი პირებისა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის ბრძანება №7545 - ვებგვერდი, 28.03.2022წ.

მუხლი 8. სპეციალური დებულებები

1. საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, რომელზეც გაფორმებულია საგადასახადო შეთანხმება, აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის განსაზღვრულ პერიოდში, ასევე იმ დავალიანებაზე, რომელზეც გაფორმებულია აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი არ ვრცელდება.

2. ამ ინსტრუქციით განსაზღვრული არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი არ მიენიჭება, ასევე არ გადაიყვანება ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე პირი, რომელსაც „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრა მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორია, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი.

3. იმ საანგარიშო პერიოდზე ან საკითხზე, რომელზეც საგადასახადო ორგანომ განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პროგრამულად განხორციელდეს ზემოაღნიშნულ პერიოდში/პერიოდებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შეზღუდვა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის აუდიტის დეპარტამენტი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება, გამოწეროს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

4^1. არაკვალიფიციური დღგ-ის გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას ან შემოწმებულ

პერიოდზე, თუ იდენტიფიცირდება მიღებული (დასადასტურებელი) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც მითითებული დასაბეგრი ოპერაციის პერიოდი (თვე) მოიცვა საგადასახადო შემოწმებამ, დასაშვებია, გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის აუდიტის დეპარტამენტი, გადასახადის გადამხდელს მიეცეს უფლება დაადასტუროს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ ბრძანების გამოცემისთანავე, ბრძანების გამოცემის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ ოპერაციებზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქონების განკარგვის აკრძალვის უზრუნველყოფის მიზნით, გადასახადის გადამხდელს შეეზღუდოს სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის უფლება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის ვალის მართვის დეპარტამენტი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

6[1]. მე-6 მუხლის შესაბამისად გამოწერილ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, მხოლოდ აღნიშნულ სასაქონლო ზედნადებში მითითებულ ოპერაციებზე გამოწერილ ელექტრონულ საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე არ ვრცელდება ამ ინსტრუქციით განსაზღვრული შეზღუდვები.

7. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით მოსარგებლე და კვალიფიციური დღგ-ის გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაცია თავსდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.rs.ge.

8. პირს, რომელზეც ვრცელდება ამ ინსტრუქციით განსაზღვრული შეზღუდვები, ასევე ეზღუდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და საგადასახადო დოკუმენტების მატერიალური ფორმით გატანა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის ბრძანება №7545 - ვებგვერდი, 28.03.2022წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 21 მარტის ბრძანება №5493 - ვებგვერდი, 26.03.2024წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №14558 - ვებგვერდი, 28.07.2023წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №31614 - ვებგვერდი, 26.03.2024წ.
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №23615 - ვებგვერდი, 21.03.2025წ.